ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7067917

ნომერი: AR11039285

თარიღი : 30.05.2024

გაცემის თარიღი : 06.06.2024

გაცნობის თარიღი : 06.06.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა, N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა კალანდაძე პ/ნ 01024087374
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 8, ბინა 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, № 7061381 გადაწყვეტილებით მოწერილ პასუხში მოწერილია ინფორმაცია იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი განცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კერძოდ :

საჭიროა განმარტოთ კონკრეტულად მოასფალტებას გეგმავთ არსებული გზიდან თქვენს ნაკვეთამდე , თუ უშუალოდ ს/კ: 01.72.14.013.047) მონაკვეთის წინ ს/კ 01.72.14.013.933 ნაკვეთისათვის(რომლის მესაკუთრეა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი) ამ შემთხვევაში ფოტო და ფოტომონტაჟი წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საპროექტო ადგილის და არა გზის დასაწყისიდან;

- განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე საჭიროა მოინიშნოს დამატებით გზის მონაკვეთის საკადასტრო კოდები რომელზეც უნდა მოეწყოს გზა;

გაითვალისწინეთ გარემოს თანხმობა წარმოდგენილია მხოლოდ 01.72.14.013.047- და მიმდებარე მონაკვეთისათვის ს/კ 01.72.14.013.933 და არა მთლიანი გზის მოწყობაზე (ძირითად გზიდან საპროექტო ნაკვეთამდე) გასათვალისწინებელი პირობით :„გაცნობებთ, რომ ხის შტამსა და გზის საფარს შორის დაშორება არანაკლებ 70სმ უნდა იყოს, იმისათვის, რომ მცენარის ფესვის წყლით დატენიანება შეუფერხებლად მოხდეს.მწვანე ნარგავების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში დაგეკისრებათ კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.“

ასევე გასათვალისწინებელია- ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 16-0123222895 წერილის (თარიღი: 10/08/2023 წ) შესაბამისად ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, საჭიროა დაიტვირთოს საჯარო სერვიტუტით, რისთვისაც უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს , ხოლო სერვიტუტით დატვირთული არეალი დაიტანოთ საპროექტო ნახაზებზე;

იმ შემთხბევაში თუ გეგმავთ მოასფალტებას არსებული გზიდან თქვენს ნაკვეთამდე ,ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენი გექნებათ ტოპოგრაფიული გეგმა გზის მთელ მონაკვეთზე არსებული ხე- ნარგავების ინვენტარიზაციის შესაბამისი ნუმერაციის მითითებით , რათა სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში გადაგზავნა

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge